

**საქართველოს პრეზიდენტის  
ბრძანებულება  
N 140 1996 წლის 31 იანვარი ქ.თბილისი**

**აფხაზეთის (საქართველო) ტერიტორიის ფარგლებში რუსეთ-  
საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე, სოხუმის  
საზღვაო ნავსადგურში პორტკუნქტებსა და საზღვაო  
აკვატორიაში სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმების შესახებ**

აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტისა და საერთოდ კავკასიის რეგიონში შექმნილი რთული კრიმინოგენული ვითარების გამო, რომელსაც ხელს უწყობს აფხაზეთის (საქართველო) ტერიტორიაზე დაქირავებულთა, იარაღის, ნარკოტიკებისა და კონტრაბანდითური ტვირთის შეღწევა, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას, სასიცოცხლო ინტერესებსა და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან, აგრეთვე იმის გამო, რომ შეუძლებელია საზღვარგარეთის ქვეყნების სატრანსპორტო საშუალებათა უსაფრთხო მომსახურება საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელსაც წარმოადგენს აფხაზეთი და აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების ზომების შესახებ დსთ სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილების შესრულების მიზნით:

1. დაიხუროს სოხუმის საზღვაო ნავსადგური, პორტკუნქტები, საზღვაო აკვატორია და საქართველოს-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთი აფხაზეთის(საქართველო) ტერიტორიის ფარგლებში ყველა სახის საერთაშორისო გადატვირთებისათვის, გარდა ამ ბრძანებულების შესაბამისად განხორციელებული ჰუმანიტარული დახმარების ტვირთის გადაზიდვისა.

2. ჰუმანიტარული დახმარების ტვირთის შეტანა აფხაზეთის (საქართველოს) ტერიტორიაზე დაშვებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ერთჯერადი ნებართვების საფუძველზე საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ წინასწარი საბაჟო კონტროლის განხორციელების შემდეგ.

3. დაევალოს საქართველოს მთავრობის სპეციალურ სამუშაო ჯგუფს დიპლომატიური არხებით მიაწოდოს ინფორმაცია განცხადების წარმომდგენ მხარეს აფხაზეთის (საქართველო) ტერიტორიაზე ჰუმანიტარული ტვირთის შეტანის ერთჯერადი ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

4. დაევალოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს:

- უზრუნველყოს დიპლომატიური არხებით განაცხადების მიღება ჰუმანიტარული ტვირთის აფხაზეთის (საქართველო) ტერიტორიაზე შეტანის ნებართვის შესახებ;

- საქართველოს საელჩოს მეშვეობით რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარს მიაწოდოს ინფორმაცია აფხაზეთის (საქართველო) ტერიტორიაზე ჰუმანიტარულტვირთიანი სატრანსპორტო საშუალებათა შესვლის ნებართვის შესახებ;

- მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის ურთიერთდაზღვევის კლუბს, საერთაშორისო ტვირთზიდვისთვის აფხაზეთის (საქართველო) ტერიტორიის ფარგლებში საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთის, სოხუმის საზღვაო ნავსადგურის, პორტპუნქტებისა და საზღვაო აკვატორიის დახურვის შესახებ.

5. დაევალოთ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და საბაჟო დეპარტამენტებს დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია საქართველოს შესაბამის უწყებებს აფხაზეთისათვის (საქართველო) განკუთვნილი ჰუმანიტარული ტვირთის საბაჟო შემოწმების შედეგების შესახებ.

6. დაევალოთ საქართველოს საზღვრის დაცვისა და საბაჟო დეპარტამენტებს შეიმუშაონ ამ ბრძანებულების შესრულების მექანიზმი და გამართონ მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციის შესაბამის სამსახურებთან მასში გათვალისწინებული სასაზღვრო კონტროლის ერთობლივად განხორციელების თაობაზე.

7. ძალადაკარგულად ჩათვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 24 მაისის დადგენილება აფხაზეთის (საქართველო) ტერიტორიაზე სოხუმის საზღვაო ნავსადგურისა და პორტპუნქტების შესახებ.

*ე.შევარდნაძე*